14 - 17 აგვისტო, 1993 წ.
№ 59 (10 847) ● ფასი 85 კუპ.
გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

„დინამო“ — „შევარდენი-1906“.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

საქართველოს მეხუთე ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში ● II ტური

დინამოელთა გენერალური რეპეტიცია „ლინფილდთან“ მატჩის წინ

პირველი ჯგუფი

12 აგვისტო, II ტური

აღმოსავლეთ ზონა

„იბერია“ (ხაშური) —
„კახეთი“ (თელავი) 1-1

„მადნეული“ (ბოლნისი) —
„მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2-0

„საპოვნელა“ (თერჯოლა) —
„ერქვანი“ (გურჯაანი) 0-0

დასავლეთი ზონა

„ცხუმი“ (სოხუმი) —
„გურია“ (ლანჩხუთი) 1-7

„ზუგდიდი“ (გალი) —
„ბათუმი“ (ბათუმი) 1-2

„ამირანი“ (ოჩამჩირე) —
„სამტრედია“ (სამტრედია) 2-2

„შუქურა“ (ქობულეთი) —
„კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1-3

„სამგურალი“ (წყალტუბო) —
„ტორპედო“ (ქუთაისი) 1-2

„დინამო“ (თბილისი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) — 7 : 1.

თბილისის ბ. პაიჭაძის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 12 აგვისტო.

„დინამო“: ზოიძე, ნემსაძე, ლობჟანიძე, შელია, ინალიშვილი, ყაველაშვილი, ა. არველაძე, ჯამარაული (ანჩაბაძე), რ. არველაძე, ქინქლაძე (ქველაძე), შ. არველაძე.

„შევარდენი-1906“: ნაჭყებია, კვიტატიანი, შურღაია, მელქაძე, ჯიშკარიანი, ჯიქია (ელიაშვილი), ნადირაძე, ქოჩლაძე (ბაკურაძე), გოგიჩაიშვილი, ჟანცუღაია, ჯანაშია.

მსაჯები: მ. მაღალურაძე, ვ. ჩოჩიშვილი, რ. ნიშნიანიძე (ყველა—თბილისი).

გოლები: დინამოელთაგან — ა. არველაძე (მე-10 და 79-ე წთ.) ქინქლაძე (მე-19, 39-ე წთ.) ინალიშვილი (62 წთ.), რ. არველაძე (70-ე და 89-ე წთ.) გოგიჩაიშვილი (მე-80 წთ.; „შევარდენი1906“).

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრა, რომელიც „დინამომ“ ჩრდილოეთ ირლანდიის „ლინფილდთან“ მატჩის კვირამდე გამართა, მასპინძელთა ამ საპასუხისმგებლო ასპარეზობის წინ ძალების მოსინჯვა უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში ასეთი განწყობილება იყო ტრიბუნებზე ორთაბრძოლის დაწყებამდე და ამის საფუძველს იძლეოდა ის, რომ ეს თამაშიც საღამოს 8 საათზე იწყებოდა და რაკილა სტადიონზე ოთხშაბათის მატჩის მიახლოებული პირობები უნდა შექმნილიყო, მაყურებელი იმასაც ელოდა, რომ თვით მატჩიც ერთგვარი რეპეტიციის ხასიათისა იქნებოდა.

მთელი თამაში დინამოელთა სცენარით წარიმართა. ჩათ უმთავრესად ფიზიკურ მომზადებაში დაჯაბნეს სტუმრები. დინამოელი ფორვარდები იოლად შედიოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანში. ისე რომ, არც რთული კომბინაციების განსახორციელებლად შეუწუხებიათ თავი და ინდივიდუალური გარღვევებით აღწევდნენ სასურველ მიზანს, რაზეც აშკარად მიუთითებს მატჩის ანგარიში.

„შევარდენი-1906“ აშკარად უგულვებელყოფდა გუნდურ მოქმედებას და მთელი თამაში, რატომღაც, მოკლე გადაცემებზე ააგო, რის გამოც უაღრესად ძნელ ვითარებაში აღმოჩნდა. დაბოლოს, ამ დღეს, 18 აგვისტოს მატჩთან დაკავშირებით უეფას მხრიდან პრეტენზიებისაგან თავის დაზღვევის მიზნით, სტადიონის ყველა კუთხე-კუნჭულიც მოწმდებოდა. უნდა ითქვას, რომ ჩვენი სარბიელი საგანგებოდ მოემზადა ევროპულ დონეზე მეტოქეთა მისაღებად. განახლებულია სათამაშო მინდვრის გაზონი, იმატა განათებამ, შეკეთებულია გასახდელები, სამედიცინო მომსახურების კაბინეტები, საშხაპე და სხვ.

უშანგ ჭიჭინაძე

სამზადისი საყოველთაო

11 აგვისტოს უშუალოდ „ბრძოლის ველზე“ — ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ქალაქის მერმა კოტე გაბაშვილმა ჩაატარა ტრადიციული თათბირი, რომელიც მიეძღვნა 18 აგვისტოს „დინამო“—„ლინფილდის“ მატჩის ორგანიზაციულ მხარეს.

შესაბამისი სამსახურების — ქალაქის პოლიციის, უშიშროების, ავტოინსპექციის, სატრანსპორტო გაერთიანების, საავიაციო კომპანია „ორბის“, მეტროპოლიტენის, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, ეროვნული სტადიონის და სხვათა წარმომადგენლებმა ილაპარაკეს მატჩისთვის მზადების შესახებ.

ანალოგიური თათბირი, ამავე სტადიონზე, მოეწყობა დღესაც დილის 10 საათზე.

ორი ნაკრებით—ესპანეთში

მალე საქართველს ფეხბურთელთა ნაკრების ორი შემადგენლობა ესპანეთს გაემგზავრება საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს ოლიმპიური ნაკრები სპორტის დამსახურებული ოსტატის რამაზ შენგელიას თავკაცობით იასპარეზებს ვალენსიის ტურნირში. იმ ქვეჯგუფში, სადაც ჩვენები გამოვლენ, ითამაშებენ რუსეთის, კამერუნის და აშშ-ის ოლიმპიური ნაკრებები. მეორეში — უკრაინის, ჩილეს, ესპანეთის და იტალიის გუნდები.

სევილიის საერთაშორისო ტურნირში კი, როგორც ვიუწყებოდით, იასპარეზებს, საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (18 წლამდე) სპორტის დამსახურებული ოსტატის თამაზ კოსტავას ხელმძღვანელობით.



აი, ეს ბიჭი, ქუთაისის III სკოლის მეექვსეკლასელი ვალერიან გაფრინდაშვილი გახლავთ ევროპის წლევანდელი ჩემპიონი 12 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის.

ტურნირების მერე

სხვებთან მრთად— შემაღლეს საფეხურზე

— **თუ** მოვლენებს მთლიანობაში განვიხილავთ, მოზარდ მოჭადრაკეთა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატების შედეგებით უკმაყოფილო არ უნდა ვიყოთ. ჩვენი გოგო-ბიჭები მსოფლიოს წამყვან საჭადრაკო ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებს ტოლს არ უდებენ. — ამბობს ბრატისლავიდან დაბრუნებული საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი გიორგი სიხარულიძე. — ორი ჩემპიონი, რამდენიმე პრიზიორი და ისინიც, ვინც საუკეთესო ათეულში შევიდა, რუსეთის გარდა არავის ჰყავს. მსოფლიო ჩემპიონატზე, საიდანაც ეს-ესაა დავბრუნდით, უცხოელთა შორის იყვნენ ფხეთებიც, რომელთა რეიტინგი დიდოსტატებსაც შემშურდებათ, მაგალითად, 14 წლის ბიჭებში თამაშობდა უნგრელი პეტერ ლეკო, რომლის რეიტინგია 2555. ყოველ ასაკობრივ ჯგუფში, მონაწილეთა სიმრავლის გამო, ასპარეზობანი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად ჩატარდა.

● **ჩვენი მოჭადრაკეებიდან ვის გამოჰყოფდით?**

— უმეტესობამ შესანიშნავად დაიწყო, შუა ტურნირის მერე საქართველოს დელეგაციის წევრთა ნახევა-

ეს კი ანა მათნაძეა — თელავის მეცხრე სკოლის მეხუთეკლასელი, რომელმაც წელს 10 წლამდე გოგოებს შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ედუარდ გილიგაშვილის ფოტო.

წილისყრა: ვინ—ვის...

10 აგვისტოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მოეწყო ეროვნული თასის მეოთხე გათამაშების წილისყრა. მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:

„ეგრისი“ (სენაკი)—„ეკობელი“ (თბილისი)
„იბერია“ (თბილისი) — ასკ (თბილისი)
„კოლხეთი“ (აბაშა)—„ნაფარეული“ (ნაფარეული)
„დურუჯი“ (ყვარელი)—„ბაჩო“ (თბილისი)
„ჟინვალი“ (ჟინვალი)—„გურია-2“ (ლანჩხუთი)
„არაგვი“ (დუშეთი)—„ერქვანი-ზოოვეტი“ (თბილისი)
„მესხეთი“ (ახალციხე)—„ჭაბუკიანი“ (ჭაბუკიანი)
„მეშახტე“ (ტყიბული)—„მერანი-91“ (თბილისი)
„ანცი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა)
„ულუმბო“ (სალხინო)—„ქიზიყი“ (წნორი)
„იმედი“ (ლაითური)—„მერცხალი“ (ოზურგეთი)

თასის გათამაშების ამ ეტაპზე გუნდები მხოლოდ ერთხელ — 16 აგვისტოს, პირველად დასახლებული გუნდების მოედნებზე შეხვდებიან ერთმანეთს.

პირველი ჯგუფის გუნდები ბრძოლაში მომდევნო ეტაპებზე ჩაერთვებიან.

◆ ◆ ◆

ჭადრაკი

ცნობები ჯაკარტიდან

კიდევ თითო-თითო ქულა შეიმატეს მაია ჩიბურდანიძემ და ქეთევან არახამიამ ჯაკარტაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა შესარჩევი ტურნირის მეცხრე ტურში. ჩიბურდანიძემ დაამარცხა რუმინელი ფოიშორი. არახამიამ — ჩინელი პენგი. ამ დღეს „დამოისვენა“ ნინო გურიელი. მას, ისე, როგორც ალისა გალიამოვას (უკრაინა), 5,5 ქულა ჰქონდა, მათი პრინციპული პარტია კი მოიგო გალიამოვამ და მესამე ადგილზე აინაცვლა.

მეათე ტურში „სვლა შეანელეს“ ჩიბურდანიძემ და არახამიამ. არახამია ბოცარს დაუზავდა, 7,5 ქულა გაუხდა და ნახევარი ქულით უსწრებს ჩიბურდანიძეს, რომელმაც პირველი მარცხი იწვნია იუგოსლაველ ალისა მარიჩთან. ამ მოგების შემდეგ მარიჩი II-III ადგილებს იყოფს მსოფლიო ექს-ჩემპიონთან. დამარცხდა გურიელიც (პენგთან), სამაგიეროდ, ნინო ხურციძემ ჩაიწერა ქულა არგენტინელ ამურასთან და 5,5 ქულით წამოეწია სეხნიას. კვლავ წააგო შვედმა პია კრამლინგმა (პოლონელ დამბროვსკასთან), ჯერჯერობით წაუგებლად ასპარეზობს არახამია. იგი XI ტურში ეთამაშება სემიონოვას. მაიას მეტოქე იქნება დამბროვსკა, გურიელისა — კულიში (რუსეთი), ხურციძისა — ბულგარელი ვოისკა.

ვინ საიდან, ვინ სად...

სენაკელები ევროპის საკლუბო თასზე

ესპანეთის ქალაქ ლინარესიდან დაბრუნდა საქართველოს გუნდი, რომელიც იქ 16 წლამდე ასაკის ჭაბუკთა I მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში მონაწილეობდა, 21 ქვეყნის 28 ნაკრებთა შორის (გათამაშდა 11 ტურად) გიორგი ბაჩაძემ, სერგო მოვსესიანმა, მიხეილ მჭედლიშვილმა და ალექსანდრე ედიშერაშვილმა 36,5 ქულა მოაგროვეს და II ადგილი დაიკავეს. 38 ქულით 1 ადგილზე გავიდა რუსეთის „ა“ ნაკრები. საუკეთესოდ იასპარეზა მოვსესიანმა — მან პირველ დაფაზე 12-დან 11 ქულა მოაგროვა და ოქროს მედალი დაიმსახურა.

თბილისიდან ვენას გაემგზავრა სპორტკლუბ „ეგრისის“ (ქ. სენაკი) მოჭადრაკეთა გუნდი. საქართველოდან ეს პირველი გუნდია, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის საკლუბო თასის გათამაშებაში. „ეგრისის“ ღირსებას [illegible] სუპატაშვილი, [illegible], აკაკი შალამბერიძე, [illegible] სიჭინავა, დავით ჩიჩიბაია და მოთამაშე-მწვრთნელი თამაზ კიკიანი (დელეგაციის ხელმძღვანელია სენაკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე თენგიზ ბოჭორიშვილი). გზად ჩვენი მოჭადრაკეები ძალებს სცდიან მლადე-ბოლესლავის საერთაშორისო პირად ტურნირში, რომლის მთავარი პრიზია მსუბუქი ავტომანქანა.

ინფორმაცია

პოლონეთის საერთაშორისო ტურნირზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში [illegible] დარჩიამ ვერცხლის, თენგიზ თედორაძემ კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

სხვებთან ერთად — უმაღლეს საფეხურზე

(დასასრული)

რი მაინც ინარჩუნებდა მაღალი ადგილის მოპოვების შანსს, ბოლო ტურის წინ კი გვყავდა ჩემპიონობის ოთხი კანდიდატი, საბოლოოდ მხოლოდ თელაველმა ანა მათნაძემ (10-წლიანთა შორის) მიაღწია მიზანს. თანაბრად, შესაშური მონდომე[illegible] ჩაატარა მთელი ასპარეზობა და [illegible]-დან მხოლოდ 2 ქულა დაკარგა.

● **რამ დაგწყვიტათ გული?**

— თინა ყველიაშვილის (12-წლიანებში) და სოფიკო ტყეშელაშვილის (14-წლიანებში) მიერ ხელიდან გაშვებულმა ოქროს მედლებმა. თინა თანატოლებში აშკარად გამოირჩეოდა: ტურნირო გამოცდილება თითქოს არ აკლია — შარშან ევროპის ჩემპიონატში მესამე იყო, წელს III-IV ადგილები გაიყო. ეს შედეგი გაიმეორა ბრატისლავაშიც — ყველა, თერთმეტ პარტიაში თვალსაჩინო უპირატესობას აღწევდა, მაგრამ თერთმეტივეში თითქმის მოგებულ პარტიაში პოზიციის გამარტივებას ცდილობდა, ამიტომაც დაისაჯა. რწმენა, რისკი აკლია, რომლის დაძლევით უთუოდ ბევრს მიაღწევს.

სოფიკოს ჩემპიონობა ერთგვარად დამოკიდებული იყო ბოლო ტურში ინგლისელ რუთ შილდონისა და რუსუდან გოლეთიანის (იგი რუსეთის სახელით გამოდიოდა) პარტიის შედეგზე. მისი ყაიმით დამთავრების შემთხვევაში ტყეშელაშვილი გადიოდა პირველ ადგილზე, მაგრამ ინგლისელმა სძლია მეტოქეს. ამით მან სოფიკოსთან I-II ადგილები გაიყო. კოეფიციენტთა ცხრილმა შილდონს მიაკუთვნა ოქროს მედალი. აი, სად იჩინა თავი სოფიკოს მიერ მეორე ტურში განცდილმა დასანანმა წაგებამ.

● **მაია ლომინეიშვილს რაღა დაემართა, ევროპის შარშანდელ ჩემპიონს?**

— პირველ ოთხ ტურში მან და ერევნელმა ელდო დანიელიანმა უდანაკარგოდ იასპარეზეს, ამიტომაც სწორედ ისინი შეხვდნენ ერთმანეთს მეხუთე ტურში. ამ პრინციპულ პარტიას მაია ორჯერ იგებდა და... წააგო. მარ[illegible]ს მერე ერთხანს ვერ შე[illegible]ლების მოკრება, თუმცა ბო[illegible] ორ ტურში 2 ქულა აიღო და [illegible]ლზე გავიდა.

● **მოკლედ, ბიჭების შესახებაც...**

— ბარემ ნატო ეძგვერაძეზეც მოგახსენებთ და მერე ბიჭებზე ვისაუბრებ. ეძგვერაძისგან მეტს ველოდით, მაგრამ... იგი მეტის მეტად ფრთხილია, გაუბედავი, ამიტომაც ხშირად ემუქრება ცაიტნოტი. ყველაფერმა ამან განსაკუთრებით იჩინა თავი ბოლო პარტიებში.

რაც შეეხება ბიჭებს, ალექსი ქასრაშვილმა ვერ გაამართლა. გიორგი ფარესიშვილმა მდგომარეობა გამოასწორა, როცა სიტუაციას შეეჩვია, მაგრამ გვიან იყო — X-XV ადგილები გაიყო. 14-წლიანებში ჩვენი ორი მოჭადრაკე: გიორგი ბახტაძე — 12-წლიანებში შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი და მიხეილ მჭედლიშვილი გამოდიოდნენ. გიორგის შედეგებზე გავლენა იქონია მეორე ტურში (როცა მას ეტლი და კუ ჰყავდა მეტოქის ეტლის წინააღმდეგ) მსაჯების მიერ უსამართლოდ, ვადამდე მისჯილმა ყაიმმა. ამას დაემატა ისიც, რომ ვლადიმერ მალახოვთან (რუსეთი) ცაიტნოტში წააგო პარტია, რომელშიც დიდი უპირატესობა ჰქონდა. არადა, ბახტაძე საკმაოდ ლამაზად, ღრმად, აზრიანად თამაშობს. უთუოდ ბევრს გვპირდება, ოღონდ წრთობა აკლია.

საინტერესო გამოდგა 16-წლიანებში სერგო მოვსესიანის უკანასკნელი პარტია გაცილებით მაღალი რეიტინგის მქონე ვიეტნამელ ჰაო დაო სენთან. თბილისელს მხოლოდ მოგება აძლევდა ხელს, მაგრამ მეტოქემ ყაიმს მიაღწია. მოვსესიანმა საბოლოოდ II-IV ადგილები გაიყო, კოეფიციენტთა ცხრილმა კი IV ადგილი არგუნა. ვიეტნამელი ჩემპიონი გახდა. რაც შეეხება გიორგი ყაჭეიშვილს, ეს 16 წლის ყმაწვილი 18-წლიანებში გამოდიოდა, ამ ასაკში კი 2 წელს დიდი მნიშვნელობა აქვს. გიორგი უდავოდ ნიჭიერია, შრომისმოყვარე, მაგრამ თეთრებით სადებიუტო მომზადებამ უმტყუნა, აკლია მეტოქის შეფასების უნარი — ბოლო ტურში ამიტომაც წაიფორხილა ინდოელ რამეშთან პარტიაში. ამ ქვეყნის ახალგაზრდა მოჭადრაკეები ახლა საკმაოდ კარგად თამაშობენ, ეტყობა, ვისვანათხან ანანდის წინსვლამ მათაც შემატა რწმენა.

● **დასკვნა როგორია?**

— ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატებზე ჩვენი მოზარდების გამოსვლამ (ევროპისაზე ქუთაისელი ვალერიან გაფრინდაშვილი ჩემპიონი გახდა, აღარას ვამბობთ სხვა პრიზიორებზე) დაგვარწმუნა, რომ კარგი მომავალი გვყავს. ოღონდ პროფესიონალიზმი, ფსიქოლოგიური მომზადება აკლიათ. აი, რაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება — ფედერაციამაც და მწვრთნელებმაც.

ესაუბრა
ო. ივდოშვილი.

მსოფლიო ჩემპიონები და საქართველოს მოჭადრაკეთა შედეგები

10-წლამდე. **გოგოები.** ანა მათნაძე — 9 ქულა (11-დან). მსოფლიო ჩემპიონი; **ბიჭები.** ეტიენ მაკროტი (საფრანგეთი) — 10 ქულა, გიორგი ფარესიშვილი — 6,5 ქულა, X-XV ადგილები გაიყო.

12-წლამდე. **გოგოები.** ევგენია ჩასოვნიკოვა (რუსეთი) — 8,5 ქულა, თინა ყველიაშვილი — 7,5 ქულა, IV ადგილი; **ბიჭები.** ევგენი შაპოშნიკოვი (რუსეთი) — 9 ქულა, ალექსანდრე ქასრაშვილი — 5 ქულა, 45-ე ადგილი.

14 წლამდე. **გოგოები.** რუთ შელდონი (ინგლისი) — 8,5 ქულა, სოფიკო ტყეშელაშვილი — 8,5, II ადგილი. **ბიჭები.** ვლადიმერ მალახოვი (რუსეთი) — 9,5, გიორგი ბახტაძე — 7,5, VI ადგილი, მიხეილ მჭედლიშვილი — 6 ქულა, XXII ადგილი.

16-წლამდე. **გოგოები.** ელდო დანიელიანი (სომხეთი) — 10 ქულა, მაია ლომინეიშვილი — 7,5, III ადგილი; **ბიჭები.** ჰაო დაო სენი (ვიეტნამი) — 8,5, სერგო მოვსესიანი — 8 ქულა (IV ადგილი).

18-წლამდე. **გოგოები.** ილახა კადიმოვა (აზერბაიჯანი) — 9 ქულა, ნატო ეძგვერაძე — 7 ქულა, VII ადგილი; **ბიჭები.** ზოლტან ალმაში (უნგრეთი)—8,5, გიორგი ყაჭეიშვილი — 6,5 ქულა, XIII ადგილი.

ურეცეპტო წამალი

თქვენი შვილი, როგორც იტყვიან, თვალსა და ხელს შუა იზრდება, თქვენ ზრუნავთ, რომ იგი იყოს განათლებული — ასწავლით უცხო ენას, ცეკვას, მუსიკას, მხატვრობას... მაგრამ გვჯერა, ისიც კარგად იცით, რომ ბავშვს სჭირდება სხეულის გაკაჟება, მხნეობა, ამტანობა, სიმკვირცხლე, გამძლეობა, თანატოლებთან ხალასი ურთიერთობა და ა. შ. ყოველივე ამას იძლევა სპორტი. მართლაც, ჯანმრთელობის ფასი არაფერია ამ ქვეყანაზე!

მშობლებს შეუძლიათ თავად შეიტანონ წვლილი შვილების სწორ ფიზიკურ განვითარებაში. შინ ჩატარებული ვარჯიშებით შეიძლება თავიდან ავიცილოთ ბავშვის ხერხემლის გამრუდება, რაც ესოდენ ხშირია. სხეულის სწორი აღნაგობის ჩამოყალიბება სულაც არ არის რთული საქმე, მაგრამ თუ წაუყრუეთ, შემდეგ ძალზე ძნელია დეფექტის გამოსწორება.

გთავაზობთ ვარჯიშის კომპლექსს, რომელიც ხელს შეუწყობს მოზარდის სხეულის სწორ განვითარებას, როგორც პროფილაქტიკური საშუალება, გამორიცხავს მოზარდებში ტანადობის დარღვევას. ვარჯიშები უმჯობესია ჩატარდეს ყოველდღიურად ან კვირაში სამჯერ მაინც, დღეგამოშვებით.



1-ლი ვარჯიში. საწყისი მდგომარეობა — დგომი, დოინჯი, გამართეთ ტანი, ზემკლავი — ჩაისუნთქეთ, დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში — ამოისუნთქეთ.

მე-2 ვარჯიში. დგომი ჯოხით. აიწიეთ ფეხის თითებზე, ხელები გაჭიმეთ თავს ზემოთ.

მე-3 ვარჯიში. ჩაჯექით, ხელები გაშალეთ ხან წინ, ხან უკან.

მე-4 ვარჯიში. დგომი ჯოხით. მოიხარეთ წელში, ჯოხით შეეხეთ ფეხების თითებს, გაიმართეთ, ხელები ასწიეთ ზევით.

მე-5 ვარჯიში. დგომი. ხელები გაშალეთ წინ მხრების სიგანეზე; ხელები გასწიეთ განზე.

მე-6 ვარჯიში. დგომი, დოინჯი. ტანი დახარეთ წინ, ზურგი გამართულია.

მე-7 ვარჯიში. დაწექით მუცელზე. დოინჯი, ან ხელები დაიწყვეთ მხრებზე, ტანი გაჭიმეთ. შემდეგ შეასრულეთ მე-7-ა ვარჯიში.

მე-8 ვარჯიში. იატაკს დაეყრდენით მუხლებით და ხელებით, მონაცვლეობით გაშალეთ ხან ხელი, ხან ფეხი. (მე-8-ა და 8-ბ ვარჯიშები).

მე-9 ვარჯიში. დაჯექით. ფეხები განზე. შეეცადეთ ხელებით მიწვდეთ ფეხის თითებს.

მე-10 ვარჯიში. დგომი. დოინჯი. ფეხები მონაცვლეობით ატრიალეთ წრიულად.

მე-11 ვარჯიში. დგომი. ზურგით, ქუსლებით და მხრებს ზევით ხელების ნებებით მიეყრდენით კედელს. რამდენჯერმე გამოიზნიქეთ წინ, ქუსლები და ხელები არ მოაშოროთ კედელს.

მე-12 ვარჯიში. დგომი. თავზე დაიდეთ ბურთი. ტანგამართულმა იარეთ, შეეცადეთ ბურთი თავზე შეინარჩუნოთ.

დაიხსომეთ, რომ, თუ ბავშვს ტანადობა დარღვეული აქვს, განსაკუთრებით სასარგებლოა ბურთით თამაშები და ცურვა.

ნიჭს წრთობა და ძებნა უნდა!

სოფელი სპორტის ფალავანიცაა

ამ შეჯიბრებების თაოსანი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, აწ განსვენებული ბორის ტახტაროვი გახლდათ — მძლეოსნობაზე შეყვარებულმა ამ კაცმა მთელი სიცოცხლე ჩვენი რესპუბლიკის „სპორტის დედოფლის" სამსახურს შეალია, სოფელ-სოფელ დადიოდა, ფიზკულტურის გაკვეთილებზე აკვირდებოდა მოზარდთა სიჩაუქეს და საქართველოს სპორტკომიტეტის და განათლების სამინისტროს თანადგომით სოფლის სკოლების მძლეოსანთა რამდენიმე პირველობაც გამართა. ამ ღონისძიებამ მალე რესპუბლიკის სპორტულ შეჯიბრებათა კალენდარში დაიმკვიდრა ადგილი და აშკარად გაამართლა კიდეც — შეჯიბრებებზე გამოვლენილი ნიჭიერი მოზარდები თბილისის სპორტულ სკოლა-ინტერნატში აგრძელებდნენ სწავლას, ბევრი მათგანი რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებშიც დამკვიდრდა, არაერთმა კი შესწორება შეიტანა რეკორდების ცხრილში და დიდ საერთაშორისო ტურნირებშიც ისახელა თავი.

ბ. ტახტაროვის გარდაცვალების მერე ეს საჭირო წამოწყება მალე მიეცა დავიწყებას და საქართველოს მძლეოსნობის რეზერვის დაშრეტის ერთ-ერთი მიზეზი ესეც გახლდათ. მას შემდეგ ათი წელი გაილია. წლეულს განათლების სამინისტროს შესაბამისი სამმართველო კვლავ დაუბრუნდა სოფლის სკოლებს — ამას წინათ თბილისში მოაწყო სასოფლო რაიონების საშუალო (10 გუნდი ჩამოვიდა) და რვაწლიანი სკოლების (6) რესპუბლიკური პირველობანი.

გუნდური საპრიზო ადგილები დაიკავეს: საშუალო სკოლებში — ვარკეთილის (გარდაბნის რაიონი), ყვიბისის (ბორჯომი) და ნატანების (ოზურგეთი) წარმომადგენლებმა; რვაწლიან სკოლებში — ბორითის (ხარაგაული), პატარა ლილოს (გარდაბანი) და შილდის (ყვარელი) მძლეოსნებმა.

— შედეგებით კმაყოფილი ვართ — რამდენიმე პერსპექტიული მოზარდი გამოვლინდა. განსაკუთრებით გამოვყოფ დიდლილოელ ოთარ ფლიონაშვილს, ნატანებელ მამუკა ბერძენიშვილს, ვარკეთილელ მანუჩარ ფირცხელანს, ბორჯომის რაიონის სკოლებიდან — დათო გოგოლაძეს, ნელი ზერეკიძეს, ხათუნა გელაშვილს... მჯერა, ისინი მალე გააცნობენ თავს გულშემატკივრებს — გვითხრა მოსწავლეთა რესპუბლიკური ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ყარამან საბანაშვილმა.

მანვე გვაცნობა, რომ სამინისტროს თანადგომით ჩაუტარებიათ 1978-79 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა რესპუბლიკური პირველობაც. გუნდები სიძლიერის მიხედვით 3 ჯგუფად დაუყვიათ. სამწუხაროდ, მესამე ჯგუფის მხოლოდ ორი ნაკრები ჩამოსულა თბილისში სასპარეზოდ და გამარჯვება ვანელებს დარჩენიათ, პირველ ჯგუფში კი საპრიზო ადგილებზე გავიდნენ თბილისის, ქუთაისის და აჭარის მძლეოსნები, მეორე ჯგუფში — ბორჯომის, სამტრედიისა და ქარელის სპორტსმენები.

11+1 შეკითხვა სპორტისა და „ლელოს" გულშემატკივრებს

როდის ან რატომ ტირიან გულშემატკივრები?

ელდარ რიაზანოვის ცნობილი ფილმის „უფრთხილდით ავტომობილს" მთავარი მოქმედი პირის იური დეტოჩკინის მსგავსად თბილისის „ინტურისტის" თანამშრომელი დათო ბარამიძეც ხშირად იცვლიდა სამსახურს. მაგრამ თუ მოსკოველი დეტოჩკინი „[illegible]" მანქანებს იპარავდა, თბილისელი ბარამიძე სახელმწიფოსთვის მოპარულ საათებს მშობლიური „დინამოს" გულშემატკივრობას ახმარდა. მაშ ასე, იცნობდეთ: ქართველი „ტორხედორი" დათო ბარამიძე..

● **ბევრი გულშემატკივარი ბავშვობაში სპორტით იყო გატაცებული. თქვენ გამონაკლისს ხომ არ წარმოადგენთ?**

— როგორც ყველა თბილისელმა ბიჭმა, მეც ეზოს ფეხბურთით დავიწყე. 62-ე სკოლაში ვსწავლობდი. ბიჭები ხშირად გადავდიოდით დიდუბეში, იმ ადგილზე, სადაც დღეს საბურთალო — დიდუბის ხიდია და იქ პატარა საფეხბურთო მოედანზე „დიდ ფეხბურთს" ვთამაშობდით. ეს მოედანი დღეს აღარ არსებობს, მისი ადგილი სხვადასხვა დაწესებულებებმა დაიკავეს. შემდეგ, უცხო ენათა ინსტიტუტში სწავლისას ხელბურთში, დავიწყე ვარჯიში, ვთამაშობდი სასწავლებლის ნაკრებ გუნდში. მახსოვს, 1972 წელს სოხუმში, იმერის სპორტკომპლექსში, უმაღლესი სასწავლებლების რესპუბლიკური პირველობაზე ჩვენმა „ენების ინსტიტუტის" გუნდმა მეორე საპატიო ადგილი დაიკავა. ხელბურთის მოედანზე თავის დროზე შევხვედრივარ შემდგომში ცნობილ ოსტატებს — მიხეილ ტაბიძეს, ალექსანდრე ანპილოგოვს, ზაზა დოლიძეს, ჯემალ ბარამიძეს.

● **და მაინც, ვიცი, რომ თქვენზე ამბობენ „ფეხბურთის გიჟია".**

— მართალი ბრძანდებით. ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა. ბავშვობაში საათობით ვიდექი დილის ბაზრის ლობესთან, ჩემი კრებები ახლოს რომ მიცნობა, ღამეები მაქვს გათენებული ძველი „დინამოს" სტადიონის სალაროებთან, რათა პარტიის (იყო ასეთი ადგილები ძველ „დინამოზე") ან თუნდაც შესასვლელი („ზბადრია") ბილეთი მაინც მეშოვა. მრავალი წელია ვაგროვებ საფეხბურთო გუნდების სიმბოლიკებს, ბიმპლებს, დროშებს, სამკერდე ნიშნებს, ფოტოებს, საგაზეთო პუბლიკაციებს. ჩემი უსაყვარლესი მოთამაშე მიხეილ მესხი — უფროსი. აქვე მინდა ერთი რამ დავძინო: მერია, ჩემი სათაყვანებელი გუნდის მსოფლიო წონაში „ობერის" ან სხვა ქართული სახელით წარმდგარიყო.

● **თუ გახსოვთ სტადიონზე?**

— მიტირია. ეს იყო 1969 წლის 16 ივლისს, „ქართმსალის" სტადიონზე, როდესაც თბილისის „დინამო" ამხანაგურ მატჩში მონტევიდეოს „ნასიონალს" შეხვდა. შე-

გაგ. მე-4 გვ.

გიორგი ქინქლაძე—

თემურ გიორგაძის სახელობის პრიზის პირველი მფლობელი

ერთი კვირის წინ „ლელოში“ გამოქვეყნდა ქართული ფეხბურთის დიდი თანამდგომისა და ცნობილი ქველმოქმედის თემურ გიორგაძის ნეკროლოგი. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წლევანდელი წლიდან რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთათვის დააწესა თემურ გიორგაძის სახელობის სამართლიანობის პრიზი („ფეირპლეი“). იგი ყოველწლიურად საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გადაეცემა იმ ფეხბურთელს, რომელიც კეთილსინდისიერებით და რაინდული საქციელით, როგორც ფეხბურთის მოედანზე, ასევე ყოველდღიურ ცხოვრებაში, სამაგალითო იქნება საქართველოს ფეხბურთელთა შორის.

წინა ჩემპიონატის შედეგების მიხედვით სფფ-ს საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებით ფეხბურთელთა შორის თემურ გიორგაძის სახელობის პრიზი მიეკუთვნა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელს გიორგი ქინქლაძეს, რომელიც აგრეთვე საუკეთესოდ იქნა დასახელებული ამას წინათ გაზეთ „სარბიელის“ მიერ ჩატარებულ ჟურნალისტთა და სპეციალისტთა გამოკითხვაში. პრიზი ფეხბურთელს საზეიმოდ გადაეცემა 18 აგვისტოს „დინამო“—„ლინფილდის“ მატჩის წინ.

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, წინა ჩემპიონატის შედეგების მიხედვით „ფეირპლეის“ მფლობელი საფეხბურთო კლუბებს შორის გახდა სოხუმის „ცხუმი“.

ვინ არის ვინ ევროპაში?

„დინამო“

ჩემპიონთა თასი

1979-80
„ლივერპული“ (ინგლისი) — „დინამო“ 2-1, 0-3
„ჰამბურგი“ (გფრ) — „დინამო“ 3-1, 3-2

თასების მფლობელთა თასი

1976-77
„კარდიფ სიტი“ (უელსი) — „დინამო“ 1-0, 0-3
„დინამო“ — მტკ (უნგრეთი) 1-4, 0-1
1980-81
„კასტორია“ (საბერძნეთი) — „დინამო“ 0-0, 0-2
„უოტერფორდი“ (ირლანდია) — „დინამო“ 0-1, 0-4
„ვესტ ჰემი“ (ინგლისი) — „დინამო“ 1-4, 1-0
„დინამო“ — „ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) 3-0, 0-2
„დინამო“ — „კარლ ცეისი“ (გდრ) 2-1
1981-82
„დინამო“ — „გრაცერ აკ“(ავსტრია) 2-0, 2-2
„ბასტია“ (საფრანგეთი) — „დინამო“ 1-1, 1-3
„ლეგია“ (პოლონეთი) — „დინამო“ 0-1, 0-1
„დინამო“ — „სტანდარდი“ (ბელგია) 0-1, 0-1

უეფას თასი

1972-73
„დინამო“ — „ტვენტე“ (ჰოლანდია) 3-2, 0-2
1973-74
„დინამო“ — „სლავია“ (ბულგარეთი) 4-1, 0-2
„დინამო“ — „ოფკ“ (იუგოსლავია) 3-0, 5-1
„დინამო“ — „ტოტენჰემი“ (ინგლისი) 1-1, 1-5

1977-78
„ინტერი“ (იტალია) — „დინამო“ 0-1, 0-0
„კბ კოპენჰაგენი“ (დანია) — „დინამო“ 1-4, 1-2
„დინამო“ — „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) 1-0, 0-4
1978-79
„დინამო“ — „ნაპოლი“ (იტალია) 2-0, 1-1
„ჰერტა“ (დას. ბერლინი) — „დინამო“ 2-0, 0-1
1982-83
„დინამო“ — „ნაპოლი“ (იტალია) 2-1, 0-1
1987-88
„ლოკომოტივი“ (ბულგარეთი) — „დინამო“ 3-1, 0-3
„ვიქტორია“ (რუმინეთი) — „დინამო“ 1-2, 0-0
„ვერდერი“ (გფრ) — „დინამო“ 2-1; 1-1

სულ ოთხი მატჩი ითამაშა თბილისის „დინამომ“ ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში — ჩემპიონთა თასზე, მაგრამ, საყოველთაო აღიარებით, თბილისელთა დებიუტი ამ თასის 1979-80-წლების გათამაშებაში ჭეშმარიტად სენსაციური იყო. „ლივერპულის“ დამარცხება მონარქის დამხობას ჰგავდა, „ჰამბურგს“ კი დიდი ბრძოლა დასჭირდა, გამარჯვებული რომ „გასცლოდა“ „დინამოს“.

სურათებზე: მარცხნივ — „დინამო“ — „ლივერპული“: ვიტალი დარასელიას დარტყმა-ყუმბარა კლემენსის კარისკენ; მარჯვნივ — თბილისელები და ჰამბურგელები ბურთისთვის ბრძოლაში.

ფოტოები „ლელოს“ არქივიდან

„ლინფილდი“

ჩემპიონთა თასი

1959-60
„ლინფილდი“ — „კამრატერნა“ (შვეცია) 2-1, 1-6
1961-62
„ფორვერსტი“ (გდრ) — „ლინფილდი“ 3-0,
1962-63
„ლინფილდი“ — „ესბერგი“ (დანია) 1-0, 0-0
1966-67
„არისი“ (ლუქსემბურგი) — „ლინფილდი“ 3-3, 1-6
„ვალერენგენი“ (ნორვეგია) — „ლინფილდი“ 1-4, 1-1
„ლინფილდი“ — ცსკა (ბულგარეთი) 2-2, 0-1
1969-70
„ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — „ლინფილდი“ 8-0, 4-2
1971-72
„სტანდარდი“ (ბელგია) — „ლინფილდი“ 2-0, 3-2
1975-76
„პსვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ლინფილდი“ 8-0, 2-1
1978-79
„ლინფილდი“ — „ლილესტრემი“ (ნორვეგია) 0-0, 0-1
1979-80
„დანდოლკი“ (ირლანდია) — „ლინფილდი“ 1-1, 2-0
1980-81
„ლინფილდი“ — „ნანტი“ (საფრანგეთი) 0-1, 0-2
1982-83
„17 ნენტორი“ (ალბანეთი) — „ლინფილდი“ 1-0, 1-2
1983-84
„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ლინფილდი“ 3-0, 3-2
1984-85
„ლინფილდი“ — „შამროკ როვერსი“ (ირლანდია) 0-0, 1-1
„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ლინფილდი“ 2-1, 3-3
1985-86
„ლინფილდი“ — „სერვეტი“ (შვეიცარია) 2-2, 1-2
1986-87
„როსენბორგი“ (ნორვეგია) — „ლინფილდი“ 1-0, 1-1
1987-88
„ლილესტრემი“ (ნორვეგია) — „ლინფილდი“ 1-1, 4-2
1989-90
„ლინფილდი“ — „დნეპრი“ (სსრკ) 1-2, 0-1

თასების მფლობელთა თასი

1963-64
„ფენერბახჩე“ (თურქეთი) — „ლინფილდი“ 4-1, 0-2
1970-71
„მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი) — „ლინფილდი“ 1-0, 1-2

ბაზრობათა თასი

1967-68
„ლაიფციგი“ (გდრ) — „ლინფილდი“ 5-1, 0-1
1968-69
„სეტუბალი“ (პორტუგალია) — „ლინფილდი“ 3-0, 1-3

უეფას თასი

1981-82
„ბევერენი“ (ბელგია) — „ლინფილდი“ 3-0, 5-0
1988-89
„ტურუნ პალოსეურა“ (ფინეთი) — „ლინფილდი“ 0-0, 1-1

ნუ დამშვიდდებით!

რატომღაც ბევრმა მიიჩნია, რომ წილისყრამ ჩვენი „მხარე დაიჭირა“ და „ლინფილდის“ სახით იოლი მეტოქე გვარგუნა, რაც, არავითარ შემთხვევაში სწორი არ არის. ასეთი განწყობილება ყოველთვის ცუდ სამსახურს უწევს ყველას, ვინც ნაადრევად იმშვიდებს თავს.

კარგად ვიცი, რას წარმოადგენენ ჩრდილოირლანდიელები, რომელთა წინააღმდეგ მითამაშია ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში. მართალია, მას შემდეგ ოც წელზე მეტი გავიდა, მაგრამ არა მგონია, ამ ხნის განმავლობაში იქაური ფეხბურთის დონე ისე დაქვეითდა, დღეს ხელწამოსაკრავი იყოს. ვფიქრობ, ამაში დამეთანხმებიან ჩემი თანაგუნდელები: რევაზ ძოძუაშვილი და გივი ნოდია, ევროპისა და მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირებში (1969-71 წლებში) ჩემთან ერთად რომ თამაშობდნენ ნაკრებში ჩრდილოეთ ირლანდიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ. მატჩები, როგორც მოსკოვში, ისე ბელფასტში, უაღრესად დაძაბული იყო, რადგან ჩვენი მეტოქეები ბრიტანული ფეხბურთის ტიპური წარმომადგენლები არიან. ტანმაღალი ჩრდილოირლანდიელები შესანიშნავად თამაშობენ თავით და მინდვრის მთელ სიგრძე-სიგანეზე გრძელი გადაცემებით შეუპოვრად უტევენ მეტოქის კარს.

მათ არც საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება აკლიათ, რადგან არაერთ პრესტიჟულ ტურნირში გამოსულან, თვით მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზეც კი. ბოლოს და ბოლოს, ბესტი და დუგანიც ხომ იქაურები არიან. მართალია, ეს ყველაფერი ეროვნული ნაკრების დონეზე იყო, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ბრიტანეთში საკლუბო ფეხბურთს უდიდესი ყურადღება ექცევა. ასე რომ, არა მგონია, ჩემს უმცროს დინამოელ მეგობრებს დამშვიდების საფუძველი ჰქონდეთ...

მურთაზ ხურცილავა,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

ყველა ჩემპიონი

გთავაზობთ ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთის ყველა ჩემპიონთა სრულ სიას: 1881 წ. — „მოიალი პარკი“, 1882 — „ქუინზ აილენდი“, 1883 — „კლიფტონვილი“, 1884 — ბელფასტის „დისტილერი“, 1885 — „დისტილერი“, 1886 — „დისტილერი“, 1887 — „ულსტერი“, 1888 — „კლიფტონვილი“, 1889 — „დისტილერი“, 1890 — „გორდონ ჰილანდერსი, 1891 — „ლინფილდი“, 1892 — „ლინფილდი“, 1893 — „ლინფილდი“, 1894 — ბელფასტის „გლენტორანი“, 1895 — „ლინფილდი“, 1896 — „დისტილერი“, 1897 — „გლენტორანი“, 1898 — „ლინფილდი“, 1899 — „დისტილერი“, 1900 — ბელფასტის „სელტიკი“, 1901 — „დისტილერი“, 1902 — „ლინფილდი“, 1903 — „დისტილერი“, 1904 — „ლინფილდი“, 1905 — „გლენტორანი“, 1906 — ორი ჩემპიონი: „კლიფტონვილი“ და „დისტილერი“, 1907 — „ლინფილდი“, 1908 — „ლინფილდი“, 1909 — „ლინფილდი“, 1910 — „კლიფტონვილი“, 1911 — „ლინფილდი“, 1912 — „გლენტორანი“, 1916 — „გლენტორანი“,. 1914 — „ლინფილდი“, 1915 — „სელტიკი“, 1916 — „ლინფილდი“, 1917 — „გლენტორანი“, 1918 — „სელტიკი“, 1919 — „ლინფილდი“, 1920 — „სელტიკი“ , 1921 — „გლენტორანი“, 1922 — „ლინფილდი“, 1923 — „ლინფილდი“, 1924 — „ქუინზ აილენდი“, 1925 — „გლენტორანი“, 1926 — „სელტიკი“, 1927 — „სელტიკი“, 1928 — „სელტიკი“, 1929 — „სელტიკი“, 1930 — „ლინფილდი“, 1931 — „გლენტორანი“, 1932 — „ლინფილდი“, 1933 — „სელტიკი“, 1934 — „ლინფილდი“, 1935 — „ლინფილდი“, 1936 — „სელტიკი“, 1937 — „სელტიკი“, 1938 — „სელტიკი“, 1939 — „სელტიკი“, 1940 — „სელტიკი“, 1941 — „სელტიკი“, 1942 — „ლინფილდი“, 1943 — „სელტიკი“, 1944 — „სელტიკი“, 1945 — „ლინფილდი“, 1946 — „ლინფილდი“, 1947 — „სელტიკი“, 1948 — „სელტიკი“, 1949 — „ლინფილდი“, 1950 — „ლინფილდი“, 1951 — „გლენტორანი“, 1952 — „გლენავონი“, 1953 — „გლენტორანი“, 1954 — „ლინფილდი“, 1955 — „ლინფილდი“, 1956 — „ლინფილდი“, 1957 — „გლენტორანი“, 1958 — „ნიუტონ არდსი“, 1959 — „ლინფილდი“, 1960 — „გლენავონი“, 1961 — „ლინფილდი“, 1962 — „ლინფილდი“, 1963 — „დისტილერი“, 1964 — „გლენტორანი“, 1965 — „დერი სიტი“, 1966 — „ლინფილდი“, 1967 — „გლენტორანი“, 1968 — „გლენტორანი“, 1969 — „ლინფილდი“, 1970 — „გლენტორანი“, 1971 — „ლინფილდი“, 1972 — „გლენტორანი“, 1973 — „კრუსადერსი“, 1974 — „კოლერაინი“, 1975 — „ლინფილდი“, 1976 — „კრუსადერსი“, 1977 — „გლენტორანი“, 1978 — „ლინფილდი“, 1979 — „ლინფილდი“, 1980 — „ლინფილდი“, 1981 — „გლენტორანი“, 1982 — „ლინფილდი“, 1983 — „ლინფილდი“, 1984 „ლინფილდი“, 1985 — „ლინფილდი“, 1986 — „ლინფილდი“, 1987 — „ლინფილდი“, 1988 — „გლენტორანი“, 1989 — „ლინფილდი“, 1990 — „პორტდაუნი“, 1991 — „პორტდაუნი“, 1992 — „გლენტორანი“, 1993 — „ლინფილდი“.

მოამზადა გივი თორელმა

როდის ან რატომ ტირიან გულშემატკივრები?

(დასასრული)

სვენებაზე გამოაცხადეს, რომ მიხეილ მესხი ფეხბურთს ეთხოვებოდა. ვტიროდი არა მარტო მე, ტიროდა მთელი სტადიონი. თვალებში ცრემლი მომადგა პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნაზეც, როდესაც სტადიონის სარბენ ბილიკებზე ეროვნული დროშა შემოიტანეს.

● თქვენს კოლექციაში ერთი ფოტო ვნახე — მარიო კემპესთან ერთად ხართ გადაღებული. სად შეხვდით ერთმანეთს?

— ათიოდე წლის წინ „ინტურისტის“ სისტემის თარჯიმნების განყოფილებაში ვმუშაობდი და ჩემი სამუშაო ოთახი „ივერიაში“, მეექვსე სართულზე იყო. თბილისში სტუმრობდა ესპანეთის „ვალენსია“, რომელსაც მოსკოვის „სპარტაკთან“ უნდა ეთამაშა. თამაშის წინა დღეს მოულოდნელად იღება ჩემი ოთახის კარი და შემოდის მარიო კემპესი, ბუფეტს ეძებდა, მინერალური წყლის ყიდვა სურდა. „ბორჯომი“ იქვე მივართვი, შემდეგ დაახლოებით თხუთმეტი წუთი ვისაუბრეთ. საუბარი ვესტიბიულში გავაგრძელეთ, სადაც ფინჯან ყავაზე დავპატიჟე. დამშვიდობებისას დავინახე მოსკოველი ფოტოკორესპონდენტი გენადი დოროხოვი, რომელმაც ეს სამახსოვრო სურათი გადაგვიღო.

● „ინტურისტში“ მუშაობისას სხვა საინტერესო შეხვედრები თუ გქონდათ?

— შესაძლებლობას არ ვუშვებდი, შევხვედროდი და მესაუბრა იმ ცნობილ ფეხბურთელებთან, რომლებიც თბილისში ჩამოდიოდნენ. გავსაუბრებივარ ნეტცერს და კალცს, კიგანს და დალგლიშს, ხუანიტოს და სანტილიანას... ეს ფოტო კევინ კიგანთანაც მაქვს გადაღებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სურათმა ჩემამდე ვერ მოაღწია. კონტაქტები მქონდა უცხოელ სპორტულ ჟურნალისტებთანაც. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი ამბავი. თბილისში „დინამო“ — „ჰამბურგის“ შეხვედრის წინ ერთ-ერთ გერმანელ ჟურნალისტს სანაძლეო დავუდე ექვს ბოთლ შამპანურზე, რომ „დინამო“ იმ დღეს მოიგებდა. სამწუხაროდ, ჩვენმა ბიჭებმა წააგეს და თამაშის შემდეგ მეც ნომერში ავუტანე სტუმარს წაგებული შამპანურები. იქ კიდევ სამი კაცი დამხვდა. ჩვენმა მასპინძელმა თავისი მარაგიდან სამიოდე ბოთლი ვისკიც ამოიღო და ძმური სუფრა დილამდე გაგვიგრძელდა.

● თქვენ მივლინებით საზღვარგარეთაც გიხდებოდათ ყოფნა. სპორტთან დაკავშირებით რაიმე კურიოზს ხომ არ გაიხსენებთ?

— არ ვიცი, გაგონილი გაქვთ თუ არა ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების არქიპელაგი, რომელიც ბენგალიის უბეში მდებარეობს და ინდოეთის შემადგენლობაში შედის. 1983 წელს ტურისტულ ჯგუფთან ერთად ერთი კვირით ჩავფრინდით ამ კუნძულების დედაქალაქ პორტ-ბლეირში. დავბინავდით სასტუმროში. მეორე დილას სასტუმროსთან სპორტული მოედანი აღმოვაჩინეთ. ჩვენი ჯგუფის წევრებმა და ორმა დასავლეთგერმანელმა ტურისტმა ფეხბურთის თამაში დავიწყეთ. როდესაც შეხვედრა დასრულდა, ერთი კაცი მოგვიახლოვდა და გაგვეცნო, ადგილობრივ ფეხბურთელთა გუნდის მწვრთნელი ვარო. ჩვენი ვინაობის გარკვევის შემდეგ თავის გუნდთან თამაში შემოგვთავაზა. ჩვენც დავთანხმდით და 15 იანვარს, 35-გრადუსიან სიცხეში ისტორიული საერთაშორისო მატჩიც გაიმართა. თამაშს ათასამდე მაყურებელი დაესწრო. გავიმარჯვეთ ანგარიშით 11:3. მასპინძელთა მწვრთნელს არ სჯეროდა, რომ მეტოქე პროფესიული გუნდი არ იყო და მხოლოდ და მხოლოდ მოგზაურობაში გაცნობილი ხალხისგან შედგებოდა. ინდოელებმა არ უღალატეს სტუმარ-მასპინძლობის წესს და აღმოსავლური ტკბილეულითა და ეგზოტიკური ხილით სავსე მაგიდასთან მიგვიპატიჟეს. ჩვენც კაცი ვაფრინეთ სასტუმროში და სუფრაზე რამდენიმე ბოთლი ჩვენებური შამპანურიც გაჩნდა. სტატისტიკის მოყვარულებს ვთხოვ, თავიანთ დავთრებში შეიტანონ დღემდე უცნობი ერთი საერთაშორისო მატჩის შედეგი: ანდამანისა და ნიკობარის კუნძულების ნაკრები — თბილისელ ტურისტთა ჯგუფის ნაკრები — 3:11. პორტ-ბლეირი, 1983 წლის 15 იანვარი.

● ვიცი, რომ არაერთი შარვალი გაგიცვეთიათ სტადიონის ტრიბუნაზე ჯდომით. საინტერესოა, რა დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?

— გუშინდელივით მახსოვს ბორის სიჭინავას მიერ „სპარტაკის“ კარში ბოლო წუთზე გატანილი გოლი 1964 წლის სეზონის გახსნის მატჩში. იმავე სეზონის დრამატული შეხვედრა თბილისში „დინამოსა“ და „შახტიორს“ შორის. მახსოვს ის პატარა ძაღლიც, „ლოკომოტივის“ სტადიონზე რამდენიმე მატჩის მსვლელობისას ერთსა და იმავე დროს რომ „ერთვებოდა“ ხოლმე თამაშში. ერთ შემთხვევასაც გავიხსენებ: 60-იან წლებში „დინამო“ ბაქოს „ნეფტიანიკს“ ხვდებოდა“. იმ პერიოდში „დინამო“ სუსტად ასპარეზობდა, მისი იმდღევანდელი მეტოქე კი აღმავლობას განიცდიდა. თამაშის დაწყებამდე სტადიონთან ბაქოელ გულშემატკივრებს ვესაუბრებოდი, ერთმა მათგანმა ვარაუდი გამოთქვა, რომ, თუ მესხი ითამაშებს, ჩვენი „ნეფტიანიკი“ 0:1-ს წააგებსო, მართლაც იმ დღეს ბაქოელები დამარცხდნენ ანგარიშით 0:1, ბურთი კი მარცხენა ფრთიდან ძლიერი დარტყმით სწორედ მიშა მესხმა გაიტანა.

● საინტერესოა თბილისის „დინამოს“ იდეალური გუნდის თქვენებური ვარიანტი?

— გავბედავ და შევადგენ გუნდს იმათგან, ვინც უშუალოდ მოედანზე მინახავს: კოტრიკაძე, ჩოხელი, ჩივაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, სიჭინავა, იამანიძე, ყიფიანი, მეტრეველი, ღოღობერიძე, მესხი, ალბათ კარგი გუნდი გამომივიდა, მაგრამ რა ვუყოთ მანუჩარ მაჩაიძეს, დარასელიას, გუცაევს, ძოძუაშვილს, შენგელიას? ამ გუნდს სათავეში ანდრო ჟორდანიას და ნოდარ ახალკაცის დუეტს ჩავუყენებდი.



● მასობრივ სპორტზე რას იტყვით?

— დღეს ჩვენი ქვეყანა სამარ მდგომარეობაშია და შეიძლება უხერხულიც იყოს ამ პრობლემაზე ლაპარაკი, მაგრამ რად გვინდა დამოუკიდებელი და თავისუფალი სამშობლო, თუ მასში ჯანმრთელი თაობა არ იცხოვრებს. ლოჯიებისა და გარაჟების მშენებლობამ თბილისური ეზოების მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაყლაპა, შესაბამისად, იშვიათად ნახავთ ეზოებში მობურთალ ბიჭებსაც, მძლავრობს ნარკომანიაც. თუ ღვთის შეწევნით ეს ომი ღირსეულად დავამთავრეთ, ჩემი აზრით, მთავრობამ სპეციალური პროგრამა უნდა შეიმუშაოს, რადგან მარტო ხალხის ენთუზიაზმი ამ საქმეს ვერ უშველის.

● სპორტსმენი, რომელიც თქვენი განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს?

— ჩემი საყვარელი სპორტსმენი მიხეილ მესხია. რაც შეეხება მოქმედ სპორტსმენებს, გამოვყოფდი ბარსელონის ტრიუმფატორს — კახი კახიაშვილს. მე მისგან კიდევ მრავალ წარმატებას ველი.

● განვლილი საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატებიდან რომელს დაესწრებოდით?

— ფეხბურთში ყველა მსოფლიო ჩემპიონატი უდიდესი ზეიმია. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, დიდი სიამოვნებით დავესწრებოდი იმ ჩემპიონატებს, რომლებიც ბრაზილიელთა ტრიუმფით დამთავრდა — 1958 წელს შვეციაში, 1962 წელს ჩილეში, 1970 წელს მექსიკაში.

● რას უსურვებთ გაზეთ „ლელოს“?

— „ლელო“ ძალიან მიყვარს. იგი პირველი გაზეთი იყო, რომელიც წავიკითხე მას შემდეგ, რაც ანბანი ვისწავლე. მახსოვს დრო, როდესაც საგაზეთო ჯიხურებში მისი შოვნა ძნელი იყო. მიუხედავად დღევანდელი სიძნელეებისა, „ლელო“ მაინც ინარჩუნებს ქართული სპორტული პრესის ლიდერის „ყვითელ მაისურს“, იმედი მაქვს, ჩემი საყვარელი გაზეთი მალე დაძლევს სირთულეებს და ყოველდღიურად გაახარებს მკითხველებს ცინცხალი ინფორმაციით.

ესაუბრა გიორგი გაჩეჩილაძე.

ფიშერი აშშ-ს ემალება პოლგარებთან

ბობი ფიშერის შარშანდელმა „საუკუნის მატჩ-რევანშმა“ ბორის სპასკისთან იუგოსლავიაში სერბიისადმი მისი ქვეყნის ბოიკოტი დაარღვია და ამერიკის ხელისუფალთა წყრომა დაიმსახურა. სასჯელისგან თავის დაზღვევის მიზნით ფიშერი იუგოსლავიაში დარჩა, მაგრამ, როგორც უკანასკნელ ხანს გახდა ცნობილი, მან ეს თავშესაფარი არასაიმედოდ მიიჩნია და უნგრეთს გადასულა — ლასლო პოლგარს — დები პოლგარების მამას სწვევია. ამას იტყობინება უნგრეთის ტელეკომპანია, რომელსაც პოლგარების სახლში, ბუდაპეშტიდან 40 კილომეტრზე, გადამღები ჯგუფიც მიუვლენია. ოპერატორებმა ფანჯარაში თვალი მოჰკრეს ფიშერს, მაგრამ მცველებმა მასთან მიახლოების უფლება არავის მისცეს. მაშინ ჟურნალისტები რამდენჯერმე შეეცადნენ ტელეფონით დაკავშირებოდნენ მას. სამწუხაროდ, პოლგარების სახლში ყურმილთან არავინ მისულა. უნგრეთის იუსტიციის სამინისტრო და აშშ-ის საელჩო ბუდაპეშტში ვერ ადასტურებენ ბობის უნგრეთის დედაქალაქში ყოფნის ფაქტს, ადგილობრივი პრესა კი დაჟინებით ავრცელებს ცნობას, რომ ფიშერი იქაა ჩასული 17 წლის ჟუდით პოლგართან მატჩის პირობებზე მოსალაპარაკებლად. აქამდე რამდენიმე ცდა — შემდგარიყო ამ ორი გამოჩენილი მოჭადრაკის მატჩი, უნაყოფო გამოდგა — ბობის არ სურდა შეეზღუდათ ორთაბრძოლა დროის ჩარჩოებით და სათვალავში მიეღო ყაიმი. შესაძლოა ფიშერი ამჯერად დათმობაზე წავიდეს და მატჩიც მოეწყოს.

● **გერმანიის** ოლიმპიურ სპორტში შეუმჩნევლად მოსულმა ბიზნესმენმა ლუტც გროუტკამ სკანდალურ ვითარებაში დატოვა იგი. ახლა უკვე აღარავის ახსოვს, რომ იგი ხელმძღვანელობდა კომიტეტს, რომლის მიზანი იყო ბერლინი 2000 წლის ოლიმპიადის დედაქალაქად აერჩიათ. არადა, როგორც გაირკვა, სამსახურებრივ მდგომარეობას იგი პირადი მიზნებისთვის იყენებდა. ამავე დროს, 49 წლის ბიზნესმენი თავის ნაწარმს დამალად ადებდა ოლიმპიურ სიმბოლიკას, რაც კატეგორიულად აკრძალულია.

● **ამ სითხეს** ხალისით სვამენ მამაკაცები და ქალები, მოხუცები და ახალგაზრდები. ეტანებიან მას სპორტსმენებიც. საქმე ის გახლავთ, რომ გერმანულმა ფირმამ „დოქტორ სკლენარმა“ შექმნა ახალი ტიპის, ბიოლოგიურად აქტიური სასმელი „მო-გუ-ფიტი“, რომელსაც წარმატებით იყენებენ ველოსიპედისტებიც, მოთხილამურეებიც, მოციგურავეებიც, მოცურავეებიც... ფინელი ველოსიპედისტი ქალი ტეა ვიკსტედნიუმანი ამტკიცებს, რომ ამ სასმელის ათდღიანი მიღების შემდეგ შეძლო 100 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება მთელი 6 წუთით. „მო-გუ-ფიტი“ გულმოდგინედ შეამოწმეს მედიკოსებმაც. მათი აზრით, სასმელი არ შეიცავს აკრძალულ სტიმულატორებს.



„ლინფილდთან“ მატჩის მოლოდინში

ზაქარია ბიბილაშვილის ნახატი (გორი).

რა ხდება ქვეყანაზე

● **როგორც** ცნობილია, კალათბურთელთა პროფესიულმა კლუბმა „ორლანდო მეჯიკმა“. ნბა-ში თამაშის უფლება მოიპოვა 1989 წელს. ორი წლის წინ ეს კლუბი იყიდა ამერიკელმა მილიარდერმა უილიამ დიუპონ მესამემ და 85 მილიონი დოლარიც გადაიხადა. ამბობენ, ამ საქმეში დიუპონს მხარს უჭერდნენ მეუღლე და ვაჟიშვილიო. ახლა მილიარდერს განუზრახავს ფეხბურთელთა პროფესიული გუნდის ყიდვაც (ცხადია, ლაპარაკია ამერიკულ ფეხბურთზე), რომელიც, სპეციალისტთა აზრით, მას სულ მცირე 100 მილიონი დოლარი დაუჯდება. დიუპონი ჯერ არაფერს ამბობს იმაზე, რომელ კლუბს დაადგა თვალი.

● **დასავლეთში** პოპულარობით სარგებლობს 90-წუთიანი ფილმი ცნობილ გერმანელ ჩოგბურთელზე ბორის ბეკერზე, რომელიც მსოფლიოს ყოფილმა რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში კარლო ტრენჰარდმა გადაიღო. „ჩემი მიზანი იყო მეჩვენებინა მაყურებლისთვის, — განაცხადა „რეჟისორმა“, — რომ იმ დონის სპორტსმენსაც კი, როგორიც ბეკერია, არა აქვს ტკბილი ცხოვრება“. ფილმის ყველა რეცენზენტმა ერთხმად აღნიშნა, რომ ასეთი ბეკერი მაყურებელს მართლაც არ უნახავს.

სპორტული ტელეეკრანი

თბილისი

14 აგვისტო. 21. 15. კალათბურთის ვარსკვლავები. **15 აგვისტო. 13.00.** რინგის კვადრატში (გამეორებით). **22.00.** კალათბურთის ვარსკვლავები. **17 აგვისტო. 22.30.** თბილისის „დინამოსა“ და ბელფასტის „ლინფილდის“ მატჩის წინ.

„ოსტანკინო“

14 აგვისტო. 8. 20. სპორტ-შანსი. **17.30.** სპორტული პროგრამა „ულტრა-სი“. მძლეოსნობა, მსოფლიო ჩემპიონატის რეპორტაჟი შტუტგარტიდან (გერმანია). **15 აგვისტო. 10. 30.** „სპორტლოტოს“ ტირაჟი. **22. 45.** სპორტული უიკ-ენდი. **23.00.** მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის რეპორტაჟი შტუტგარტიდან. **16 აგვისტო. 12.20.** გოლი. **18. 40.** გოლი (გამეორებით). **17 აგვისტო. 21. 40.** მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში. გადაცემა შტუტგარტიდან.

„როსია“

14 აგვისტო. 17. 20. ფეხბურთი საზღვრებს გარეშე. **23.30.** სპორტული კარუსელი. **0.25.** მსოფლიო ჩემპიონატი მძლეოსნობაში (შტუტგარტიდან). **15 აგვისტო. 15.50.** მსოფლიო ჩემპიონატი ავტორბოლაში „ფორმულა-1“, ტრანსლაცია უნგრეთიდან. **19.00** მსოფლიო ჩემპიონატის რეპორტაჟი მძლეოსნობაში შტუტგარტიდან. **23.30.** სპორტული კარუსელი. **0.05.** ნბა-ს საუკეთესო თამაშები.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

21-29 აგვისტოს ეგვიპტის დედაქალაქ კაიროს უმასპინძლებს იუნიორ წყალბურთელთა მსოფლიო პირველობის ფინალურ ეტაპს, რომელშიც გამოვა საქართველოს ნაკრები გუნდიც.

ასპარეზობაზე დასასწრებად და ტურისტულ მოგზაურობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს წყალბურთის ფედერაცია სპორტის მოყვარულთაგან ქმნის ტურისტულ ჯგუფს, რომელიც თბილისიდან გავა 23 აგვისტოს და ეგვიპტეში დაჰყოფს ერთ კვირას.

წყალბურთის მოყვარულებს გიწვევთ საქმიანად და სამოგზაუროდ.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს წყალბურთის ფედერაციას ვაკის დახურულ აუზზე. ტელეფონი: 23-17-13.

საქართველოს წყალბურთის ფედერაცია

თბილისის სპორტის სასახლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ სასახლის გენერალურ დირექტორს თენგიზ ლომიძეს აფხაზეთის ბრძოლებში დაჭრილი დისშვილის

დავით მჟავანაძის

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია თანაუგრძნობს სპორტის დამსახურებულ ოსტატს შოთა ლომიძეს აფხაზეთის ბრძოლებში დაჭრილი დისშვილის

დავით მჟავანაძის

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართია: თბილისი, 380028, კ. კოსტავას 14. ● ტელეფონი: 99-56-14 ინდექსი 66 435 ИНДЕКС დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“.